



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL**

ოქმი № 7

„ 21 „ 11 2018 წ.

**დადგენილება № 34**

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის წლიური აკადემიური დატვირთვის ოდენობისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის N35 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/6 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტისა და „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის წლიური აკადემიური დატვირთვისა და შრომის ანაზღაურების წესის დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 24 სექტემბრის N64 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 ნოემბრის N73 დადგენილების თანახმად:

წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის წლიური აკადემიური დატვირთვის ოდენობისა და შრომის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 30 სექტემბრის N35 დადგენილებაში და აღნიშნული წესი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის აკადემიური დატვირთვა დადგინდეს შრომითი ხელშეკრულებით. შრომის ანაზღაურება განისაზღვროს ერთჯერადად ხელმძღვანელისათვის 625 (ექვსასოცდახუთი) ლარის ოდენობით ხოლო, თანახელმძღვანელისათვის 375 (სამასსამოცდათხუთმეტი) ლარის ოდენობით.

ბ) თანხის ანაზღაურება მოხდეს სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის შემდეგ წინასწარი განხილვისთვის/დაცვისთვის.

გ) სადისერტაციო ნაშრომის მოწვეული რეცენზენტების (როგორც დისერტაციის დაცვის, ისე წინასწარი განხილვის შემთხვევაში) და დარგობრივი კოლეგიის მოწვეული წევრების ანაზღაურება განისაზღვროს 120 (ასოცი) ლარით.



2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე და გაეგზავნოს შესაბამის სამსახურს.
4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს  
სპიკერი, პროფესორი

მ. ჩიჭუაძე

ლავრენტი ჩიბურდანიძე